საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 636 2024 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №496 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაიშაურნის მიმდებარედ არსებულ 226.00 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №71.62.60.854) განხორციელდეს სახელმწიფო ტყის სტატუსის შეწყვეტა.

2. „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №496 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-16 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ ამ განკარგულების მიღებიდან 3 თვის ვადაში გადაიხადოს საკომპენსაციო საფასური 1 266.02 ლარის (ერთი ათას ორას სამოცდაექვსი ლარი და ორი თეთრი) ოდენობით.

3. საქართველოს ტყის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოს ტყის საზღვრის კორექტირება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**